ხელშეკრულება №71/4
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 16 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტურიზმის ცენტრი ს/კ:417886531 (შემდგომში- „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის რობერტ მაღლაკელიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „2+1" ს/კ:418465529(შემდგომში- „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის კონსტანტინე ბერიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის ტურიზმის ცენტრის 2016წლის ბიუჯეტის სახსრებით გასანათებელი მოწყობილობების (CPV-31500000) და ავეჯის აქსესუარების (CPV-39200000) შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

2 შესყიდვის ობიექტი

2.1.შესყიდვის ობიექტია: ნაძვის ხის ნათურები (CPV-31522000), კედლის საათი (CPV-39254120), ნაირგვარი დეკორაციული ნივთები (CPV-39298900), საშობაო ნაძვის ხე (CPV-39298910.)

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).
3.2 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი შეადგენს:

საქონლის დასახელება	CPV-კოდი	საზომი ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ფასი
ნაძვის ხის ნათურები 8 მეტრიანი	31522000	ცალი	1	6.00	6.00
კედლის საათი	39254120	ცალი	1	8.00	8.00
ნაძვის ხე 1.80 მ	39298910	ცალი	1	95.00	95.00
ნაძვის ხე (მაგიდის)	39298910	ცალი	1	6.00	6.00
მანათობელი ნაძვის ხე(საახალწლო დეკორაცია)	39298910	ცალი	1	15.00	15.00
ნაძვის ხის დეკორაციები	39298900				
სუვენირი კერამიკის(მამალი)	39298900	ცალი	1	4.50	4.50
საახალწლო სუვენირი (თოვლის ბაბუა)	39298900	ცალი	2	8	16.00
ფოთოლი 6-იანი შეკვრა(ნაძვის ხის მოსართავი)	39298900	ცალი	1	3.50	3.50
მძივი (ნაძვის ხის)	39298900	ცალი	2	3.50	7.00
საახალწლო სუვენირი(მამალი)	39298900	ცალი	1	3.50	3.50

ფიფქი (ნაძვის ხის აქსესუარი)	39298900	ცალი	10	0.80	8.00
ზარი (ნაძვის ხის აქსესუარი)	39298900	ცალი	4	1.00	4.00
ფიფქი(ნაძვის ხის)	39298900	ცალი	1	0.90	0.90
საახალწლო აქსესუარი (ნაძვის ხის)	39298900	ცალი	2	3.00	6.00
ჩამოსაკიდი ზარი(საახალწლო დეკორაცია)	39298900	ცალი	1	26.00	26.00
საახალწლო აქსესუარი (ნაძვის ხის)	39298900	ცალი	1	1.50	1.50
საახალწლო ბაფთა	39298900	ცალი	1	5.50	5.50
საახალწლო სუვენირი (ნაძვის ხის)	39298900	ცალი	2	2.00	4.00
საახალწლო აქსესუარი „ნაძვის ხე“	39298900	ცალი	2	3.00	6.00
დეკორაციული მოსარტავი ტრაფარეტი	39298900	ცალი	2	4.00	8.00
სულ					234.40

3.3.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს–234.40 (ორასოცდათოთხმეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარს,
საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 5 კალენდარულ დღეში.
5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: გორი, წერეთლის ქ. №37ა.
5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისთვის.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველთან საქონლის მოწოდების შემდგომ მოხდება 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
-მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
9.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს მოეთხოვება მიყენებული ზიანის პროპორციული ოდენობის ფარგლებში ზიანის ანაზღაურება, მაგრამ არანაკლებ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ისა.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 3 თებერვლამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
14.2. საქონლის ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს-ლევან ქობლიანიძე, გორის მუნიციპალიტეტის ტურიზმის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური დარგის სპეციალისტი.
14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15..1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი მიმწოდებელთან, ორი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

<u>დამკვეთი</u>
ააიპ გორის მუნიციპალიტეტის ტურიზმის ცენტრი
ს/კ 417886531
მის:1400 გორი, წერეთლის№37ა
სახელმწიფო ხაზინა
კოდი:TRESGE22
ა/ნ:749643459

ხელმოწერა
დირექტორი:
რობერტ მალლაკელიძე

<u>შემსრულებელი</u>

შპს ,,2+1"
ს/კ:418465529
მის:1400 გორი,წერეთლის №25
ბანკი: სს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი:TBCBGE22
ა/ ნ:GE10TB7923036020100004

ხელმოწერა
დირექტორი:
კონსტანტინე ბერიძე